მონაცემთა დაცვის დეკლარაცია

პატივცემულო პაციენტო,

თქვენი პირადი მონაცემების დაცვა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

თქვენ შესახებ შეკრებილი პირადი მონაცემები შეინახება და გადამუშავდება გერმანიაში. შესაბამისად მონაცემებისადმი მოპყრობა განხორციელდება ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ძირითადი წესების (General Data Protection Regulation) შესაბამისი გერმანიაში მოქმედი კანონით (Datenschutz Grundverordnung)

კანონის თანახმად ჩვენ ვალდებული ვართ, გაცნობოთ იმის შესახებ, თუ რა მიზნით კრებს, ინახავს და ამუშავებს ჩვენი *ფსიქიატრიული პრაქსისი* მონაცემებს. ინფორმაციაში თქვენ ასევე შეგიძლიათ გაეცნოთ მონაცემთა დაცვის კუთხით თქვენ უფლებებს.

1. პასუხისმგებლობა მონაცემთა გადამუშავებაზე

მონაცემთა გადამუშავებაზე პასუხისმგებელი პირია:

მედ. დოქტ. გიორგი ბაქანიძე

ელ-ფოსტა: info@p-praxis.com

2. მონაცემთა გადამუშავების მიზანი

მონაცემთა გადამუშავება ხორციელდება კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, რათა შესრულებული იქნას თქვენსა და ექიმს შორის დადებული მკურნალობის ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

ჩვენ ვამუშავებთ თქვენ პირად, კერძოდ კი ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მონაცემებს. მათ რიცხვს განეკუთვნება ანამნეზი, დიაგნოზები, თერაპიული რეკომენდაციები და განვლილი მკურნალობების ისტორია.

ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციების შეკრება წარმოადგენს თქვენი მკურნალობის წინაპირობას. იმ შემთხვევაში, თუკი მოწოდებული არ იქნება საჭირო ინფორმაცია, შესაძლებელია ვერ ჩატარდეს სათანადო მკურნალობა.

3. მესამე პირისთვის თქვენი მონაცემების გაზიარება

ჩვენ თქვენს პირად მონაცემებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაწვდით მესამე პირს, თუკი ეს კანონით არის ნებადართული ან თქვენ მიერ მონიჭებული გვექნება მონაცემების გაზიარებაზე წერილობითი თანხმობა.

თქვენი პირადი მონაცემების მიმღები შესაძლებელია იყოს სხვა ექიმები ან ფსიქოთერაპევტები.

4. თქვენი მონაცემების შენახვა

ჩვენ თქვენს პირად მონაცემებს შევინახავთ მხოლოდ იმ პერიოდით, რაც საჭირო იქნება მკურნალობის ჩატარებისათვის.

5. თქვენი უფლებები

თქვენ უფლება გაქვთ ნებისმიერ დროს გამოითხოვოთ თქვენი პირადი ინფორმაციის შემცველი სამედიცინო ანკეტა. თქვენ ასევე შეგიძლიათ მოითხოვოთ არასწორი ინფორმაციების შესწორება, ინფორმაციის წაშლა და ასევე პირადი მონაცემების მესამე პირისათვის გაზიარების შეზღუდვა.

თქვენი მონაცემების გადამუშავება კანონით დადგენილი რეგულაციების საფუძველზე ხორციელდება. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება დაგვჭირდეს თქვენი დამატებითი თანხმობა.

6. სამართლებრივი საფუძვლები

თქვენი მონაცემების გადამუშავების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ძირითადი წესების (Datenschutz Grundverordnung) მუხლი 9, აბზაცი 2, ლიტერა b) და მონაცემთა დაცვის ფედერალური კანონი.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, შეგიძლიათ მოგვმართოთ წერილობით პრაქსისის ელ-ფოსტის მისამართზე.

თქვენი ფსიქიატრიული პრაქსისი